



ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო
ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო
SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY



ბრძანება: ბ43. 432327212

თარიღი: 29/09/2023

ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის
ოქტომბრის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის და „ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ოქტომბრის თვის თანდართული სამუშაო რეგლამენტი.

2. ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ლელა ჩინუამ უზრუნველყოს რეგლამენტით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება.

3. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

4. ბრძანება ძალაშია ზედმოწერისთანავე.

აღექსანდრე ტევერიავა

ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო -
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

